დანართი 1

**ავტორიზებული პირის მიერ საქპატენტისთვის ინფორმაციის წარდგენის ფორმა**

| № | ინფორმაცია ბენეფიციართა რაოდენობის შესახებ (ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაცვით | პარტნიორი ავტორიზებული პირების (ავტორიზებული პირები, რომლებიც მისაწვდომ ფორმატში რეპროდუცირებულ ბეჭდურ ნაწარმოებებს ერთმანეთს უცვლიან) საკონტაქტო ინფორმაცია | თავის სისტემაში დაცული, მისაწვდომ ფორმატში რეპროდუცირებული ნაწარმოებების შესახებ ინფორმაცია | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| **1** | საქართველოს ფოსტის მეშვეობით მზა აუდიო წიგნები დისკებისა და ფლეშ-მეხსიერების ბარათების სახით გადაეგზავნათ საქართველოს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებსა და უწყებებს. ასევე საქართველოში არსებულ 23 ბიბლიოთეკას: (ამბროლაურის, ასპინძის, ახალციხის, ახმეტის, ბათუმის, ბოლნისის, ბორჯომის, გურჯაანის, ზუგდიდის, თელავის, ლანჩხუთის, მარნეულის, მესტიის, მცხეთის, ოზურგეთის, ონის, რუსთავის, საჩხერის, სენაკის, ქუთაისის, წალკის, წყალტუბოს და ხულოს ბიბლიოთეკებს). რაოდენობა მოიცავს დაახლოებით 12 000 ბენეფიციარს. | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო | პროექტი „უსინათლო და მცირემხედველი პირების თანაბარი და დისტანციური ხელმისაწვდომობა იურიდიულ ლიტერატურასა და ქართულ სამართლებრივ ნორმებზე“. - პროექტის ფარგლებში უსინათლო და მცირემხედველ ბენეფიციარებს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს საქართველოში (აფხაზები, ოსები, სომხები, აზერბაიჯანელები) საშუალება ეძლევათ გაეცნონ თავიანთ მშობლიურ ენაზე იურიდიულ ლიტერატურას. | |
| **2** | პროექტის ფარგლებში აუდიო წიგნები უსასყიდლოდ გადაეცათ უსინათლოთა და მცირემხედველთა მთელ კონტინგენტს, ხოლო საქართველო ფოსტის მეშვეობით კი აფხაზეთიდან დევნილ სასწავლო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს: აფხაზეთის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტს; თბილისის # 202 საჯარო სკოლას (უსინათლოთა სკოლა-პანსეონი); აფხაზეთის # 1,2,3,5,6,7,10,11,12,14,15,21,22 საჯარო სკოლებს. (სულ დაახლოებით 80 ბენეფიციარი). | კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო (აფხაზეთი) | პროექტი - „უსინათლო და მცირემხედველი ბენეფიციარების თანაბარი ხელმისაწვდომობა ქართულ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე - აფხაზურ ხალხურ ზღაპრებზე“. | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3 | მზა პროდუქცია უსასყიდლოდ გადაეცემათ - ქ. თბილისის 202 საჯარო სკოლას (უსინათლოთა სკოლა– პანსიონი); - საქართველოს უსინათლოთა კავშირს; (სულ დაახლოებით 50 ბენეფიციარი). | საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო | პროექტი - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კულტურულ ცხოვრებაში ჩართვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ინკლუზიური აუდიო სპექტაკლის სახით“ პროექტის ფარგლებში ი. მაჩაბლისა და ი. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი პიესა უილიამ შექსპირის „მეფე ლირი“ ჩაიწერა და გამოიცა ინკლუზიური აუდიო სპექტაკლის სახით. | |
| 4 | მზა პროდუქცია უსასყიდლოდ გადაეცემათ - ქ. თბილისის 202 საჯარო სკოლას (უსინათლოთა სკოლა– პანსიონი); - საქართველოს უსინათლოთა კავშირს; - ასოციაციას „უსინათლოები საზღვრებსგარეშე; - სრულიად საქართველოს ინვალიდთა, ინვალიდ ახალგაზრდათა და ბავშვთა სამეცნიერო ინტელექტუალური მემკვიდრეობის დაცვის შენარჩუნების და განვითარების საერთაშორისო კავშირს „ბალავარი“; სულ დაახლოებით 60 ბენეფიციარი. | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური | პროექტი „სოციალური საწარმო აუდიოვიზუალური სტუდია „ჰერა“ ახალგაზრდების სამსახურში“ პროექტის ფარგლებში ჩაიწერა ქართველი და უცხოელი კლასიკოსი მწერლების მხატვრული ლიტერატურა აუდიო ფაილების სახით და განთავსებულ იქნა ფლეშ მეხსიერების ბარათებზე. | |
| 5 | პროექტის ფარგლებში გამოიცა ინკლუზიური აუდიო სპექტაკლი ფრიდონ ხალვაშის ისტორიული დრამის „ხიხანის ძახილის“ მიხედვით, რომლის გახმოვანებაში მონაწილეობა მიიღეს როგორც პროფესიონალმა გამხმოვანებლებმა, ასევე სამსახიობო ნიჭით დაჯილდოვებულმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმაც. ინკლუზიური აუდიო სპექტაკლი გამოშვებულ იქნა ფლეშ-მეხსიერების ბარათების სახით, რომლებიც უსასყიდლოდ გადაეცათ აჭარაში მცხოვრებ უსინათლო ბენეფიციართა მცირე კონტინგენტს. (20 ბენეფიციარი). | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | პროექტი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელოვნებისა და კულტურულ სფეროში ჩართვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ინკლუზიური აუდიო სპექტაკლის სახით“ | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6 | პროექტის ფარგლებში აუდიო წიგნები ჩაწერილი ფლეშ-მეხსიერების ბარათზე უსასყიდლოდ გადაეცათ თბილისის # 202 საჯარო სკოლის (უსინათლოთა სკოლა-პანსეონი) მოსწავლეებს. სულ დაახლოებით 50 ბენეფიციარი. | ყაზახეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში | პროექტი - "უსინათლოთა და მცირემხედველი ბენეფიციარების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყაზახურ პოეზიაზე" | |

| № | **ინფორმაცია ბენეფიციართა რაოდენობის შესახებ (ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაცვით** | **პარტნიორი ავტორიზებული პირების (ავტორიზებული პირები , რომლებიც მისაწვდომ ფორმატში რეპროდუცირებულ ბეჭდურ ნაწარმოებებს ერთმანეთს უცვლიან ) საკონტაქტო ინფორმაცია** | **თავის სისტემაში დაცული , მისაწვდომ ფორმატში რეპროდუცირებული ნაწარმოებების შესახებ ინფორმაცია** | **შენიშვნა** |
|---|---|---|---|---|
| 7 | .პროექტის პრეზენტაცია 2025 წლის 11 ივლისს ჩატარდა საქართველოს უსინათლოთა კავშირის სამეგრელოს ფილიალში (109 ბენეფიციარი ) შემდეგ მისამართზე ქ ზუგდიდი , რუსთაველის ქ . # 79. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უსინათლო და მცირემხედველ ბენეფიციარებს (სულ 20 ბენეფიციარი ) საჩუქრად გადაეცათ მზა პროდუქცია - აუდიო წიგნები ფლეშ - მეხსიერების ბარათების სახით . | ქ.ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია | პროექტი „უსინათლო და მცირემხედველი ბენეფიციარების თანაბარი ხელმისაწვდომობა სამეგრელოს ისტორიაზე “ .ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების (უსინათლოები და მცირემხედველები ) მიერ ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ჩასართავად და აუდიო წიგნებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ჩვენს მიერ წარმოდგენილ პროექტში განხორციელდა : 1. ქართველი ეთნოგრაფის სერგი მაკალათიას ნაშრომის (სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფიისა “ და იტალიელი მისიონერის , არქანჯელო ლამბერტის ისტორიული მოთხრობის „სამეგრელოს აღწერა “ -ს აუდიო წიგნებად გამოცემა ფლეშ - მეხსიერების ბარათის სახით . | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 8 | მზა პროდუქცია აუდიო წიგნების სახით გადაეცათ საქართველოს კულტურის სამინისტროს , დაურიგდებათ ქ თბილისის 202 საჯარო სკოლის (უსინათლოთა სკოლა-პანსიონი )უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეებს . (სულ დაახლოებით 50 ბენეფიციარი ). ასევე საქართველოს უსინათლო კავშირის ცენტრალურ ოფისს (დაახლოებით 30 ბენეფიციარი ). | საქართველოს კულტურის სამინისტრო | პროექტი „უსინათლო და მცირემხედველი პირებისათვის დამხმარე ტექნოლოგიების შექმნა აუდიო წიგნებისა და ინკლუზიური აუდიო სპექტაკლის სახით “. საქართველოში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ჩასართავად აუდიო წიგნებზე და ინკლუზიურ აუდიო სპექტაკლზე მათი თანაბარი ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ჩვენს მიერ წარმოდგენილ პროექტში საქართველოში პირველად განხორციელდა გამოჩენილი ქართველი ბუმბერაზი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „დიონისოს ღიმილის “, მოთხრობის „დიდი იოსებისა “და მისტერიის „გარსი მარადი “-ს ჩაწერა აუდიო წიგნებისა და ინკლუზიური აუდიო სპექტაკლის სახით | |